# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 177

„22“ მაისი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 31 მაისის №204642 გადაწყვეტილებით დადგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ძალადაკარგულად გამოცხადების და 2015 წლის 5 აპრილის №AR1299777 განაცხადით მოთხოვნილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმებაზე უარის თქმის შესახებ**

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, “ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების 23-ე მუხლის, $4^1$ პუნქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 4 მაისის №04/8396 წერილის თანახმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 31 მაისის №204642 გადაწყვეტილებით დადგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი